საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ძვირფასო მკითხველებო,

წარმოგიდგენთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2023 წლის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სადაზღვევო სექტორი სტაბილურად განაგრძობს ზრდას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელს, პირველად ისტორიაში, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული პრემიის მოცულობამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა და 1,064 მლნ ლარი შეადგინა, რაც 17%-ით მეტია წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე. ამავე დროს, ეს მონაცემი პრაქტიკულად გაორმაგებულია ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2018 წელს მოზიდული პრემია გახლდათ 542.2 მლნ ლარი). მოზიდული პრემიის ზრდა ფიქსირდება დაზღვევის ყველა წამყვან სახეობაში. 2023 წლის შედეგებით, მზღვეველების მიერ ანაზღაურებული ზარალების ბრუტო ოდენობამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 614 მლნ ლარი, რაც 24%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მონაცემს. 2023 წლის მიხედვით, კომპანიების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 248 მლნ ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 18%-ით მეტია, ხოლო წმინდა მოგებამ შეადგინა 74 მლნ ლარი და გაზრდილია 89%-ით, რაზეც უფრო დეტალურ ინფორმაციას იხილავთ ანგარიშის სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვის ნაწილში.

საანგარიშო წელს სამსახურმა შეისწავლა საქართველოს ბაზარზე არსებული სამოგზაურო დაზღვევის პირობები და კონკურენციის ხელშეწყობისა და მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვის უზრუნველსაყოფად, სადაზღვევო სექტორთან და საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციასთან თანამშრომლობით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამოგზაურო დაზღვევის მიმართ ახალი მოთხოვნები დაადგინა, რაც ძალაში 2024 წლის 15 იანვრიდან შევიდა. შედეგად, მკვეთრად გაუმჯობესდა დაზღვევის პირობების მინიმალური სტანდარტი, მკვეთრად გაიზარდა როგორც ამბულატორიული, ისე ჰოსპიტალური სერვისებისთვის გათვალისწინებული აქამდე არსებული ლიმიტები, რაც საშუალებას აძლევს საქართველოდან გასულ ყველა მოგზაურს ისარგებლოს უკეთესი დაცვით და ზიანის შემთხვევაში, მიიღოს რეალური დაცვა და ზიანი აუნაზღაურდეს უფრო მაღალი ლიმიტის ფარგლებში.

2023 წელს სამსახურმა განაგრძო აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სფეროს განვითარებისთვის და ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას - საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ აქტიური ურთიერთობა გვაქვს ევროპის სადაზღვევო და პროფესიულ საპენსიო უწყებასთან (EIOPA), რომლის მოწვევით საანგარიშო წელს დავესწარი ორ კონფერენციას, მათ შორის, მათი სპეციალური მოწვევით - „აღმოსავლეთ თანამშრომლობის კონფერენცია“-ს სპიკერის რანგში.

2023 წელი, ასევე გამორჩეული იყო იმით, რომ სამსახურმა საქართველოში არა ერთ საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლა, მათ შორის:

- ✓ 4-5 მაისს, საერთაშორისო მედია სააგენტო „XPRIMM"-თან თანამშრომლობით ქ. თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა სადაზღვევო ინდუსტრიის, უცხოელი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით;
- ✓ 5-6 ოქტომბერს, დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის რეგიონის (CEET) ფარგლებში, პირველად, ამიერკავკასიის მასშტაბით, ქ.თბილისში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა როგორც რეგიონის, ისე რეგიონს მიღმა ქვეყნების დაზღვევის საზედამხედველო უწყების, სადაზღვევო ინდუსტრიისა და სამეცნიერო აკადემიური წრეების წარმომადგენლები. საქართველოს, სხვადასხვა ქვეყნიდან, პირველად ეწვია დაზღვევის ზედამხედველი უწყების ხელმძღვანელი შვიდი პირი. კონფერენციის შემდეგ გამოხმაურებები და მაღალი შეფასებები მივიღეთ, როგორც ორგანიზების სტანდარტის, ისე დაზღვევასთან დაკავშირებით განხილული საინტერესო თემატიკის გათვალისწინებით, მათ შორის უშუალოდ რეგიონული კოორდინატორისგან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელს სამსახურს, მოკლევადიანი ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში, ეწვია ევროკავშირის ორი მისია:

- ✓ 23-27 ოქტომბერს, ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფი ესპანეთის სამეფოდან, საქართველოს კანონმდებლობაში დაზღვევის დისტრიბუციის დირექტივის (IDD) და გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მმართველობის (ESG) ფაქტორების სადაზღვევო სისტემაში იმპლემენტაციის საკითხების განხილვის მიზნით;
- ✓ 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის (TWINNING) შემფასებელ ექსპერტთა ჯგუფი ესპანეთის სამეფოდან და ხორვატიიდან, რომლებმაც დადებითად შეაფასეს 2019-2022 წლებში სამსახურში ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული TWINNING პროექტის მიმდინარეობა და შედეგები, ასევე, განსაზღვრეს შემდგომი მხარდაჭერის საჭიროებები.

ვრცლად, ამ და სხვა მიმართულებით 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ანგარიშში.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

დავით ონოფრიშვილი

სარჩევი

1

ჩვენს შესახებ 5

2

ლიცენზირება-რეგისტრაციის მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები 6

3

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო პროცესი 8

3.1. სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა 8

3.2. სადაზღვევო ბროკერები 27

3.3. საზედამხედველო პროცესი 29

4

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საქმიანობა 32

5

სამართლებრივი ბაზის განვითარება/ საკანონმდებლო პროცესი 33

6

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 35

6.1. TAIEX - ევროკავშირის მოკლევადიანი ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი 38

6.2. საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებები 38

6.3. სხვა საერთაშორისო აქტივობები 39

6.4. კვლევები და კითხვარები 41

7

გადახდისუნარიანობა 2-ს დირექტივასთან ჰარმონიზაციის პროცესი 42

8

ევროკავშირთან ინტეგრაცია 43

9

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული სამუშაოები 44

9.1. სიახლე სამოგზაურო დაზღვევის ბაზარზე 45

10

ფინანსური განათლების მიმართულებით გაწეული სამუშაოები 47

11

ადამიანური კაპიტალის მართვის და განვითარების მიმართულებით გაწეული სამუშაოები 50

12

სხვა აქტივობები 51

1 ჩვენს შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს დაზღვევის (მათ შორის დაზღვევის შუამავლების) და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ზედამხედველობის საკითხებში.

სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. სამსახურის ფუნქციებში შედის:

- ✓ დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
- ✓ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;
- ✓ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- ✓ სადაზღვევო ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ✓ კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც იგი ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას;
- ✓ კანონპროექტების, ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და მისი შესრულების კონტროლი;
- ✓ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო დაზღვევის სფეროს ზედამხედველობა კომპეტენციის ფარგლებში;
- ✓ სახელმწიფო ხელისუფლების და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ინიცირებული სახელმწიფო, მუნიციპალური და დარგობრივი სადაზღვევო პროგრამების შეთანხმება.

2 ლიცენზირება-რეგისტრაციის მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ლიცენზირებულია 18 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომლებიც ფლობენ ორივე სახის ლიცენზიას – სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არა სიცოცხლის):

1. სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ;
2. სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი;
3. სს დაზღვევის კომპანია ქართუ;
4. სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო;
5. სს არდი დაზღვევა;
6. სს სადაზღვევო კომპანია ალფა;
7. სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია;
8. სს პსპ დაზღვევა;
9. სს სადაზღვევო კომპანია უნისონი;
10. სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი;
11. სს სადაზღვევო კომპანია ტაო;
12. სს გრინ დაზღვევა საქართველო;
13. სს თიბისი დაზღვევა;
14. სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი;
15. სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია;
16. სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი;
17. სს ბბ დაზღვევა;
18. სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა;

საანგარიშო პერიოდში, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ახალი რეგულაციებიდან და ეხებოდა მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგელობაში არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრის ყოლის ვალდებულებას, მის შესაბამისობას შესაფერისობის კრიტერიუმებთან და აუდიტის კომიტეტის ფორმირების წესს - სამსახური აქტიურ კომუნიკაციაში იყო თითოეულ მზღვეველთან, მათი საქმიანობის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რაც მოიცავდა საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს, კანდიდატურების შესწავლას და შესაფერისობის დადგენას, ახსნა-განმარტებებს და სხვა სახის საჭირო ღონისძიებებს.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამსახურის მიერ წინასწარ შესწავლას ექვემდებარება მზღვეველის ადმინისტრატორის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, მათ შორის დამოუკიდებელი წევრის და დირექტორის), ასევე შიდა აუდიტის კანდიდატურები. საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა და შეისწავლა მზღვეველის ადმინისტრატორობის კანდიდატების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ინფორმაცია 25 კანდიდატზე. კერძოდ:

- ✓ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის 17 კანდიდატი, მათ შორის 11 კანდიდატი - როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შესაფერისობის კრიტერიუმებთან, ისე დამოუკიდებელი წევრის შესაფერისობის კრიტერიუმებთან მიმართებაში;

- ✓ ხელმძღვანელი პირის 5 კანდიდატი;
- ✓ შიდა აუდიტის 3 კანდიდატი.

შესწავლილ კანდიდატებზე გაიცა 25 თანხმობა (17 სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, 5 ხელმძღვანელი პირის, 3 შიდა აუდიტის).

კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურმა მიიღო და შეისწავლა მზღვეველთა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები და დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, სამსახურში რეგისტრირებულია 4 არასახელმწიფო საპენსიო სქემა, რომელთაგანაც 3 სქემის დამფუძნებელს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია, ხოლო ერთი სქემა დაფუძნებულია არა მზღვეველი იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის. კერძოდ:

- ✓ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
- ✓ სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“;
- ✓ სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“;
- ✓ შპს „საქაერონავიგაცია“.

2023 წლის დასაწყისისთვის დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებდა 19 რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა და შეისწავლა 6 სუბიექტის სარეგისტრაციო განაცხადი, სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციის თაობაზე. რეგისტრაციაში გატარდა 6 ახალი სადაზღვევო ბროკერი, კერძოდ:

- ✓ შპს "სადაზღვევო ბროკერი ინფორსი";
- ✓ შპს "სადაზღვევო ბროკერი ვოლო";
- ✓ შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯეოთრასთ";
- ✓ შპს "დედა სადაზღვევო ბროკერი";
- ✓ შპს "სადაზღვევო ბროკერი თიეი";
- ✓ შპს "სადაზღვევო ბროკერი ინშეარი 2".

შესაბამისად, 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებდა 25 სადაზღვევო ბროკერი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური ყოველწლიურად შეისწავლის სადაზღვევო ბროკერთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებთან/პირობებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად აწარმოებდა კონსულტაციებს კერძო საპენსიო სქემების საქმიანობის ახალი კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

3 საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო პროცესი

3.1 სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

2023 წლის ანგარიშგების მიხედვით, მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1 064 მლნ ლარი შეადგინა, რაც 17%-ით მეტია წინა წლის მონაცემზე.



ქვემოთ მოცემულია 10 წლის განმავლობაში სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა:





ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ბოლო 10 წლის დინამიკა. 2013 წელს მაღალი სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის სოციალური პროგრამების მართვა გადაეცა სპეციალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურას (სოციალური მომსახურების სააგენტოს, შემდგომ კი, ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს). 2014 წლიდან ბაზარი უფრო სტაბილურად და დამოუკიდებლად ვითარდებოდა. დროთა განმავლობაში დაიხვეწა და მეტად პოპულარული გახდა ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორაციული პროგრამები. დღეისთვის სამედიცინო დაზღვევის მიმართულება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის უდიდეს წილს (42%) იკავებს.



2023 წლის განმავლობაში სამედიცინო (ჯანმრთელობის) პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 447 მლნ ლარი, რაც მთლიანი მოზიდული პრემიის 42%-ს შეადგენს, ავტოკასკო 205 მლნ ლარით, მთლიანი მოზიდული პრემიის 19%-ს შეადგენს. ქონების დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 126 მლნ ლარი,

რაც სადაზღვევო ბაზრის 12%-ია. სიცოცხლის დაზღვევას მთლიან მოზიდულ პრემიაში 8% უკავია 90 მლნ ლარით, ავტომობილი მფლობელთა მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობები 75 მლნ და 28 მლნ ლარით მთლიანი მოზიდული პრემიის 7% და 3% შეადგენს. სხვა დაზღვევის სახეობებზე 9% მოდის - 93 მლნ ლარი.

სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებულ სადაზღვევო პროდუქტს უკავშირდება; თუმცა, ასევე, მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევასთან ერთად რეალიზებულ სიცოცხლის დაზღვევასაც. მესამე პირთა მიმართ ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობაში ძირითადად შედის სახმელეთო ტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა და ასევე, სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტები.



სადაზღვევო სექტორის განვითარების ტემპი (17%) 2023 წელს უსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს (12%), თუმცა, ბაზარზე კვლავ აუთვისებელი რჩება მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა: დაგროვებადი/გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა, სახმელეთო ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა და სხვა, რაც განსაზღვრავს სექტორის მიმზიდველობას პოტენციური ინვესტიციების თვალსაზრისით.



შენიშვნა 1:

„სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა“ მოიცავს პროფესიული პასუხისმგებლობის, დამქირავებლის პასუხისმგებლობის და ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებს, რომელიც არ არის დაკავშირებული სახმელეთო ან სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევასთან.

შენიშვნა 2:

"სხვა" ძირითადად მოიცავს ტვირთების, სამოგზაურო, საზღვაო ტრანსპორტის, საავიაციო, ვალდებულებათა შესრულების და ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევის სახეობებს.

შეიძლება ითქვას, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში ბაზრის შენელების, შემდგომ ჯერ მიმართვიანობის ტემპის ზრდის, ხოლო 2022 წლიდან უკვე გაყიდვების ტემპის აღდგენის პროცესმა ბაზრის სტაბილურობის მხრივ მნიშვნელოვანი რყევების გარეშე ჩაიარა. მზღვეველების ფინანსური სიმყარის მაჩვენებლების დინამიკა მოცემულია ქვემოთ.



შენიშვნა:

მაჩვენებლები არ მოიცავს ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის/გადაზღვევის მონაცემებს, რადგან სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებში, როგორც მარტივი ერთწლიანი პროდუქტი განსაზღვრული ლიმიტით ან ცალკე, საბანკო-სასესხო ვალდებულების ფარგლებში გაცემული სიცოცხლის დაზღვევის სახით. სწორედ ამიტომ, გადაზღვევა აღნიშნულ სახეობებში არ არის ისეთივე ხშირი ან მოცულობითი, როგორც ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში.

გადაზღვევა წარმოადგენს მზღვეველის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს და მისი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის წამყვან ინსტრუმენტს.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, გადაზღვევის დაფარვა კანონზომიერად მიჰყვება მზღვეველების საქმიანობის განვითარებას. გადამზღვეველთა მონაწილეობა რჩება სტა-

ბილური აღებული ვალდებულებების უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით ეს ეხება ქონებრივი რისკების და პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებებს.

2019 წელს გადაზღვევის პრემიის შემცირება მოხდა ქონების და ავტოტრანსპორტის დაზღვევის სახეობებში. ავტოტრანსპორტის დაზღვევის სახეობაში ერთ რისკზე ვალდებულების მოცულობა შედარებით მცირეა, ხოლო ქონების დაზღვევის შემთხვევაში, დასრულდა ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი, რაც თავის მხრივ, აისახა შესაბამისი გადაზღვევის პრემიის შემცირებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება მოცულობითი და კომპლექსური ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება და მზღვეველები ცდილობენ ამით მინიმუმამდე დაიყვანონ ფაკულტატიური გადაზღვევის ხელშეკრულებების რაოდენობა. ობლიგატორული გადაზღვევა ავტომატურად მოიცავს მზღვეველის სადაზღვევო პორტფელის განსაზღვრულ ნაწილს და მნიშვნელოვნად ამცირებს რისკების სათითაოდ (ფაკულტატურად) განთავსებასთან დაკავშირებულ პროცესებს და საოპერაციო რისკებს.

გადაზღვევის პრემია ძირითადი სახეობების მიხედვით



ქონება
სახმ. ტრანსპ.
სხვა პას. დაზღვ.
ავიაცია
ვალდებ. შესრ. დაზ.
სამედიცინო
სიცოცხლე
ავტო. პასუხისმგებლობა
ტვირთები
სხვა.

მოცემულ გრაფიკში აღნიშნული წილები ძირითადად დაკავშირებულია მზღვეველების მიერ ერთ რისკზე აღებულ ვალდებულებებთან. კერძოდ, რაც უფრო მეტია სადაზღვევო თანხა (დაზღვეული რისკის მოცულობა), მით უფრო მეტად დგება გადაზღვევის საჭიროება. ამიტომ, აქ მოცულობით ლიდერობს ქონების დაზღვევა, რომელიც მოზიდული პრემიის ნაწილშიც ძირითად სახეობებში შედის, ხოლო სხვა სახეობებში, მიუხედავად შედარებით მცირე პრემიებისა, ერთ რისკზე აღებული ვალდებულება შესაძლოა საკმაოდ მოცულობითი იყოს.

დაზღვევის სახეობები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
სამედიცინო	0%	0%	6%	0%	3%	0%	2%	20%	18%	17%
სახმ. ტრანსპორტი	4%	6%	3%	17%	26%	15%	10%	8%	12%	12%
ქონება	80%	71%	60%	63%	66%	58%	63%	64%	64%	66%
ავტო. პასუხისმგებლობა	8%	12%	7%	16%	10%	8%	3%	4%	5%	4%
სიცოცხლე	16%	19%	17%	20%	13%	12%	13%	13%	14%	20%
სხვა პას. დაზღვევა	62%	60%	42%	61%	53%	53%	62%	63%	68%	69%
ავიაცია	96%	90%	75%	87%	90%	88%	98%	93%	92%	93%
ვალდებ. შესრ. დაზღვევა	58%	60%	54%	60%	62%	52%	61%	61%	67%	69%
ტვირთები	54%	29%	28%	29%	33%	34%	33%	30%	31%	37%
სხვა	11%	16%	21%	16%	17%	21%	32%	35%	29%	27%
სულ	26%	23%	21%	22%	24%	19%	21%	28%	26%	26%

სახეობების მიხედვით, გადაზღვევის პრემიის პროცენტული წილები ჯამურ პრემიაში ძირითადად უცვლელია წლიდან წლამდე. ყველაზე მეტად გადაზღვევა, როგორც წესი, აქტუალურია ავიაციის, ქონების, სხვა პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების და ტვირთების დაზღვევის სახეობებში. სწორედ აღნიშნულ სახეობებში ხდება დიდი რისკების აღება და მათი გადანაწილება გადაზღვევის გამოყენებით. აქვე ჩანს, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში გადაზღვევის როლი მინიმალურია, რადგან აღნიშნულ სახეობაში უფრო მცირე მოცულობის სადაზღვევო შემთხვევები დგება, თუმცა ბევრად უფრო მაღალი სიხშირის.



შენიშვნა:

არ მოიცავს სიცოცხლის და სამედიცინო დაზღვევის სახეობების მონაცემებს.



შენიშვნა:

არ მოიცავს სიცოცხლის და სამედიცინო დაზღვევის სახეობების მონაცემებს. აღ-ნიშნული სახეობების დამატებით გადაზღვევის პრემიის წილი 26%-ს შეადგენს.

საქმიანობის დინამიკა



2023 წელს გამომუშავებულმა პრემიამ შეადგინა 972 მლნ. ლარი და წინა წელთან შედარებით გაზრდილია 18%-ით.

2014 წელს, საყოველთაო დაზღვევის პროგრამების სოციალური მომსახურების საგენტოში გადანაცვლებასთან ერთად, შემცირდა გამომუშავებული პრემია ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, თუმცა ამავე დროს, შემცირდა ზარალებიც, ხოლო 2015 წლიდან, როგორც მოზიდული, ისე გამომუშავებული პრემია სტაბილურად და თითქმის პარალელურად იზრდება, რაც ბაზრის სტაბილურ განვითარებაზე მეტყველებს (კერძოდ, არ ფიქსირდება დაზღვევის მნიშვნელოვანი წყვეტა პოლისების გაუქმების გამო).



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
დამდგარი ზარალი ბრუტო	219	194	233	251	339	522	379	425	475	646
დამდგარი ზარალი ნეტო	179	167	187	217	230	277	296	313	373	446

ზემოხსენებულ ბრუტო და ნეტო მაჩვენებელს შორის არის გადაზღვევის წილი ზარალებში. ამ გრაფიკიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადაზღვევა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისა და მზღვეველის ფინანსური სტაბილურობისთვის.



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ანაზღაურებული ზარალები (ბრუტო)	219	211	232	249	302	533	385	436	495	614

ანაზღაურებული ზარალები ბრუტო, პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგენს 614 მლნ ლარს და 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 24%-ით.



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ანაზღაურებული ზარალები (ნეტო)	208	172	192	221	236	275	288	327	372	445

ნეტო ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა 445 მლნ ლარი და წინა წელთან შედარებით გაზრდილია 20%-ით.

კომპლექსური გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით, მიუხედავად მოცულობის ზრდისა, ნეტო ზარალიანობის კოეფიციენტი (მზღვეველის წილი ზარალებში) სტაბილურობას ინარჩუნებს. აღსანიშნავია, რომ მაგალითისთვის, 2019 წელს მოცემული 91% ზარალიანობის კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია მხოლოდ ორი მზღვეველის პორტფელში მომხდარი მსხვილი ზარალებით, მაგრამ ზიანის ოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ გადაზღვევის არარსებობის შემთხვევაში, მზღვეველების მიერ ამ ზარალების ანაზღაურება შეუძლებელი იქნებოდა და ცალსახად გამოიწვევდა მზღვეველის გადახდისუუნარობას. ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით, სამსახურს გამოცემული აქვს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება მზღვეველის მიერ ერთ რისკზე აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობა და დაწესებულია გარკვეული მოთხოვნები გადამზღვეველების და გადაზღვევის ხარისხის მიმართაც.

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ზარალიანობის კოეფიციენტი (ბრუტო)	65%	60%	63%	61%	69%	91%	61%	60%	57%	66%

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ზარალიანობის კოეფიციენტი (ნეტო)	65%	68%	66%	67%	60%	62%	60%	62%	62%	62%

ბაზრის კონცენტრაცია





როგორც ზემოხსენებული გრაფიკებიდან ჩანს, უმსხვილესი 5 მზღვეველის წილი ბაზარზე შეადგენს 68%-ს.

ქვემოთ მოცემულია ბაზარზე მზღვეველების ინდივიდუალური წილის გადანაწილება.



მზღვეველების აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურა

აქტივის დასახელება	**თანხა (მლნ ლარი)**
ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკ. დაწეს. მიმართ	437
ფინანსური აქტივები	52
დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები, წმინდა*	434
სხვა სადაზღვევო აქტივები**	209
ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში	24
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	61
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა	37
სხვა აქტივები	48
სულ	1,301

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო კომპანიების აქტივები შეადგენდა 1 301 მლნ ლარს, რაც 17%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე, ხოლო, კაპიტალი გაზრდილია 9%-ით და შეადგენს 374 მლნ ლარს

მზღვეველების აქტივების სტრუქტურა



- ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკ. დაწეს. მიმართ
- ფინანსური აქტივები
- დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები, წმინდა*
- სხვა სადაზღვევო აქტივები**
- ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში
- ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება
- გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა
- სხვა აქტივები

* შენიშვნა 1:

სადაზღვევო და გადაზღვევის მოთხოვნები შემცირებულია კანონმდებლობით დადგენილი გაუფასურების რეზერვით;

** შენიშვნა 2:

სხვა სადაზღვევო აქტივები ძირითადად შედგება რეზერვებში გადამზღვეველის წილისგან.

მზღვეველების აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ფულადი სახსრები და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აქტივების 1/3-ს მეტს შეადგენს.

მზღვეველების ვალდებულებების სტრუქტურა



მზღვეველების საბალანსო ვალდებულებების 89% უშუალოდ უკავშირდება სადაზღვევო და საპენსიო საქმიანობას. სადაზღვევო რეზერვების დაფარვა კი, ძირითადად ხდება ფულადი სახსრებით. რეზერვების შედარებით მცირე ნაწილი არის განთავსებული უძრავ ქონებაში ან ფინანსურ აქტივებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ აქტივების ხარისხს სამსახური განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება.

სექტორის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა



მზღვეველის მინიმალური კაპიტალის მიმართ მოთხოვნების ეტაპობრივი გაზრდის გათვალისწინებით, 31.12.2021-დან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები გაიზარდა 7.2 მლნ ლარამდე ფულადი ფორმით, თუ მზღვეველი ეწევა საქმიანობას დაზღვევის შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ სიცოცხლის დაზღვევა;
- ✓ (დაზღვევა) არასიცოცხლის;
- ✓ გადაზღვევა;
- ✓ სავალდებულო დაზღვევის სახეობები;
- ✓ ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა.

ხოლო, თუ მზღვეველი საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებში, გარდა სავალდებულო დაზღვევის და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებისა, 2021 წლის 31 დეკემბრიდან მინიმალური კაპიტალის ოდენობა გაიზარდა 4.8 მლნ ლარამდე.



2023 წლის მიხედვით, კომპანიების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 248 მლნ ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 18%-ით მეტია. წმინდა მოგებამ შეადგინა 74 მლნ ლარი და გაზრდილია 89%-ით. წმინდა მოგების ზრდა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან - სადაზღვევო მოგება, რომელიც ბაზრის ზრდის ანალოგიურია და სხვა შემოსავლებით (მათ შორის საინვესტიციო შემოსავლებით და ვალუტის კურსთაშორისი სხვაობით). 2022 წელს მზღვეველებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიიღეს უცხოური ვალუტის კურსთა შორისი სხვაობიდან, რაც 2023 წელს პირიქით, გაცვლითი კურსის ზრდის გამო, ფულზე და ფინანსურ აქტივებზე დადებითი ეფექტით დაკომპენსირდა.


სადაზღვევო მოგება
(მლნ. ლარი)
265
245
225
205
185
165
145
125
105
85
65
45
25
5
210
248
2022
2023


წმინდა მოგება
(მლნ ლარი)
80
70
60
50
40
30
20
10
0
39
74
2022
2023


მოგების დინამიკა წლების მიხედვით
(მლნ. ლარი)
80
70
60
50
40
30
20
10
0
3
19
20
42
25
48
40
39
74
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022
2023


კაპიტალზე უკუგების (ROE) დინამიკა
37%
32%
27%
22%
17%
12%
7%
2%
3%
14%
13%
19%
11%
17%
12%
11%
20%
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022
2023

როგორც უკვე აღინიშნა, მოგების ცვალებადობა დაკავშირებული იყო პანდემიასთან და სხვა თანმხლებ ეკონომიკურ პროცესებთან. თუმცა, ბაზარმა მომგებიანობა შეინარჩუნა, ხოლო, სამსახურის მიერ მოთხოვნების დაწესება ხდებოდა დროულად და თანმიმდევრულად, რაც შესაბამისად აისახა საზედამხედველო კაპიტალის სტაბილურ ზრდაში.





საზედამხედველო კაპიტალის ჯამური ოდენობის ზედმეტობა ჯამური გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან მიმართებაში 179%-ს შეადგენს, რაც ბაზრის მაღალ გადახდისუნარიანობაზე მეტყველებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ზრდის ფონზე კაპიტალისადმი მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მზღვეველების მცირე ნაწილს უწევს კაპიტალში დამატებითი ინვესტირების განხორციელება. აღნიშნულ პროცესზე სამსახური ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებს.

საზედამხედველო კაპიტალის შეფარდება გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან წლების მიხედვით



შენიშვნა:

საზედამხედველო კაპიტალის ჯამური ოდენობის ზრდის მიუხედავად, მისი თანაფარდობა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან შემცირებულია წინა წელთან შედარებით, რადგან ბაზრის ზრდის ტემპი 2023 და 2022 წლებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2020 წლის მაჩვენებელს, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის ჯამური ოდენობა.

საზედამხედველო კაპიტალის წილი მზღვეველების ჯამურ კაპიტალში

(მლნ. ლარი)





საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დანერგვის მომენტიდან (2016 წელი) დღემდე მნიშვნელოვნად შემცირებულია დისკონტირებული აქტივების წილი კომპანიების ჯამური აქტივების მოცულობაში.

შენიშვნა:

მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, მიმდინარე საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების პროცესში (მათ შორის, აუდიტირებული ანგარიშგების შედარების შედეგად) გამოვლენილი განსხვავებების გამო, ზემოხსენებული მონაცემები შესაძლოა შეიცვალოს.

3.2 სადაზღვევო ბროკერები

სადაზღვევო ბროკერების საქმიანობა სადაზღვევო ბიზნესის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი არის მნიშვნელოვანი რისკის მატარებელი მომხმარებელთა კუთვნილი თანხების და რისკების განთავსების ხარისხის ნაწილში. სწორედ ამის გათვალისწინებით, განხორციელდა დაზღვევის საშუამავლო მარეგულირებელი საზედამხედველო ჩარჩოს გაძლიერება, რაც მომავალში უფრო მეტად უზრუნველყოფს ბროკერების საქმიანობის მაღალ ხარისხს, პროფესიონალიზმსა და საიმედოობას.

2023 წლის განმავლობაში სადაზღვევო ბროკერის საკომისიოების ოდენობამ 9.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 26%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სადაზღვევო ბროკერებს საშუამავლო საქმიანობის გა-

ნხორციელების უფლება აქვთ ერთდროულად როგორც დაზღვევის, ისე გადაზღვევის მიმართულებით, მათი საკომისიო შემოსავლის 65% გამომდინარეობს დაზღვევის საშუამავლო საქმიანობიდან, ხოლო დარჩენილი 35% გადაზღვევის საშუამავლო საქმიანობიდან.

2023 წელს საკომისიოების ზრდა ფიქსირდება ორივე მიმართულებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სამსახურის მიერ რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერების წილი სადაზღვევო სექტორის დაზღვევის პრემიაში.

ბროკერების მონაწილეობა სადაზღვევო ოპერაციებში



სადაზღვევო ბროკერების შემოსავლები კი წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:



3.3 საზედამხედველო პროცესი

სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მზღვეველების და სადაზღვევო ბროკერების (შემდგომში „კომპანიები“) ფინანსური მდგრადობის/გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის კონტროლი. ასევე, მათ მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგი.

კომპანიების უშუალო ზედამხედველობა ხორციელდება სამსახურის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშგებების ფორმების, დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის, მზღვეველების ადგილზე ინსპექტირების პროცესში მოპოვებული დოკუმენტაციისა და დეტალური მონაცემების ანალიზის გზით. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიების მიმართ გამოიყენება სანქციები, კომპანიების მიერ კანონმდებლობის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

გარდა ამისა, ეფექტური ზედამხედველობისა და რეგულირების პროცესის მუდმივად გაუმჯობესების მიზნით, სამსახური ახორციელებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ შესაბამის სახელმწიფო და კერძო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, რათა მოხდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გამოცდილების დროული გაზიარება.

2023 წლის განმავლობაში სამსახურმა შეამოწმა 18 მზღვეველი ორგანიზაციიდან მიღებული 2022 წლის წლიური, IV კვარტლის, დეკემბრის და 2023 წლის I-III კვარტლებისა და იანვარი–ნოემბრის ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმები.

შემოწმდა მზღვეველი ორგანიზაციების და სადაზღვევო ბროკერების მიერ ამავე პერიოდში საბანკო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ცნობები ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი ნაშთებისა და ამ ანგარიშებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების და ღონისძიებების შესახებ, რომლის შედარება მოხდა წარმოდგენილი ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მონაცემებთან.

შემოწმდა 25 სადაზღვევო ბროკერის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის წლიური და 2023 წლის 6 თვის ანგარიშგების ფორმები.

სამსახურმა განიხილა მზღვეველი ორგანიზაციებიდან მიღებული 2022 წლის გარე აუდიტორული დასკვნები, რის შედარებაც მოხდა ამავე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმების მონაცემებთან.

სამსახურმა განიხილა სადაზღვევო ბროკერებისგან მიღებული 2022 წლის გარე აუდიტორული დასკვნები.

მზღვეველი ორგანიზაციების და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, მომზადდა სადაზღვევო ბაზრის 2022 წლისა და 2023 წლის I-III კვარტლების სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშგებები, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

სადაზღვევო ბროკერების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, მომზადდა 2022 წლისა და 2023 წლის 6 თვის ანგარიში, მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

მომზადდა პასუხები და შესაბამისი ანგარიშგებები სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (მზღვეველი ორგანიზაციები, სადაზღვევო ბროკერები, საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და ა.შ.) შემოსულ წერილებზე.

მზღვეველი ორგანიზაციების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, სამსახურის ხელმძღვანელობისთვის სხვადასხვა პერიოდულობით მზადდებოდა ანალიტიკური ანგარიშები მზღვეველების ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და საზედამხედველო კაპიტალის შესაბამისობის შესახებ.

აღირიცხა მზღვეველი ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობის უზრუნველსაყოფად საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების ხელშეკრულებები და მომზადდა მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებული გარიგების/ტრანზაქციის განსახორციელებლად მზღვეველებისთვის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობები.

დამუშავდა სავალდებულო დაზღვევის ცენტრიდან მიღებული 2022 წლის დეკემბრისა და 2023 წლის იანვარი-ნოემბრის ინფორმაცია და შედარდა მზღვეველი ორგანიზაციების მიერ ანგარიშგების ფორმებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან.

განახორციელდა მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის და შესაბამისი დანართების/ანგარიშგების ფორმების შემოწმება, სამსახურმა გამოითხოვა სხვა დამხმარე ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია გადაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ და გარკვეულ შემთხვევებში, გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები.

განხორციელდა 2022 წლის IV და 2023 წლის I-III კვარტლების მზღვეველების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხარდაჭერით დანერგილი ანალიტიკური ინსტრუმენტის მეშვეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამსახური დისტანციური ზედამხედველობის ფარგლებში, ასევე აქტიურად აკონტროლებს ადგილზე ინსპექტირების შედეგად მზღვეველის მიერ სამსახურის მითითებების შესრულებას.

სულ 2023 წლის განმავლობაში, სამსახურის მიერ გამოვლინდა დარღვევის 273 ფაქტი, გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა გასცა წერილობითი გაფრთხილებები და შესაბამის კომპანიებს დააკისრა ფულადი ჯარიმები.

სადაზღვევო ბროკერების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების შემოწმებისას გამოიკვეთა გარკვეული სახის უზუსტობები, რაზეც მომზადდა შესაბამისი წერილები და მოხდა დაზუსტებული ანგარიშგების ფორმების გამოთხოვა. გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა გასცა წერილობითი გაფრთხილებები და დააკისრა ფულადი ჯარიმა.

2022 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შედეგად მოხდა მზღვეველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრება და აუდიტორულ ანგარიშგებასა და წარმოდგენილი საზედამხედველო ანგარიშგების ფორმებში ასახულ მონაცემებს შორის სხვაობის მიზეზებზე დამატებითი ახსნა-განმარტებების მიღება, რის შედეგადაც მზღვეველებმა სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმები შესაბამისობაში მოიყვანეს აუდიტორული ფინანსური ანგარიშგებების მონაცემებთან.

ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან და მზღვეველ ორგანიზაციებთან სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევით მოსარგებლე პირთა სიების დაზუსტების მიზნით, კომუნიკაციის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებულია მზღვეველების მხრიდან „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების და მის საფუძველზე სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 აპრილს გაგზავნილი

N210 წერილის შესაბამისი მოთხოვნის არაჯეროვნად შესრულების ფაქტები.

გასულ წელს განხორციელდა 5 მზღვეველის ადგილზე ინსპექტირება.

სამსახურის მიერ შემოწმების პროცესების ეფექტიანად და სწრაფად განხორციელების მიზნით, ხორციელდებოდა თემატური შემოწმებები, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ✓ სადაზღვევო რეზერვები;
- ✓ სადაზღვევო მოთხოვნები;
- ✓ დებიტორების გაუფასურების რეზერვი;
- ✓ გადამზღვეველთა მიმართ ვალდებულებები და მოთხოვნები და ა.შ.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა აღრიცხვიანობის ხარვეზები და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევები. კომპანიებს მოეთხოვა, როგორც სადაზღვევო რეზერვის ოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, დებიტორების გაუფასურების რეზერვის ოდენობის გაზრდა, პროგრამული აღრიცხვიანობის და კონტროლის სისტემების დახვეწა, ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების დაზუსტება და სხვა.

ზემოხსენებული შემოწმებების პროცესში მზღვეველების ხელმძღვანელობასთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, განხორციელდა კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციები და შესაბამისად, კომპანიების გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

2023 წლის განმავლობაში სამსახურის, მსოფლიო ბანკის და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების ერთობლივი მუშაობით, ჩატარდა მორიგი კონკურსი საუკეთესო წლიური ანგარიშგების და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) გამარჯვებული კომპანიების გამოსავლენად.

4 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საქმიანობა

სადაზღვევო ორგანიზაციების, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების და სადაზღვევო ბროკერების ზედამხედველობას, მათ მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, უზრუნველყოფს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სამმართველო.

სამსახურში დანერგილი ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში დამუშავდა სადაზღვევო ორგანიზაციების, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების და სადაზღვევო ბროკერების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების 2022 წლის წლიური და 2023 წლის პირველი ნახევარი წლის ამსახველი ფორმები. ხოლო მათი დამუშავების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტების მიმართ სამსახურმა გამოიყენა ფულადი ჯარიმები და/ან წერილობითი გაფრთხილებები.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მიერ ინიცირებულ საქართველოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული სისტემის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით იდენტიფიცირებული შედეგების გაძლიერებული follow-up მონიტორინგის პროცესში.

სამსახურის წარმომადგენლები, საანგარიშო პერიოდში, მონაწილეობდნენ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტის მიერ ორგანიზებული მმართველი კომიტეტის შეხვედრებში.

სამსახური საზედამხედველო პროცესს ახორციელებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

- ✓ ფინანსური ანგარიშგებისა და ანალიზის სამმართველო;
- ✓ ადგილზე ინსპექტირების სამმართველო;
- ✓ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სამმართველო.

დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის ასევე, საზედამხედველო ტექნოლოგიების SupTech მიმართულება.

5 სამართლებრივი ბაზის განვითარება/ საკანონმდებლო პროცესი

2023 წელს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული 6 (ექვსი) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი:

- ✓ 2023 წლის 24 აგვისტოს N57 ბრძანება „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 17 მარტის №02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ✓ 2023 წლის 12 დეკემბრის N58 ბრძანება „მზღვეველის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციის სრული ან ნაწილობრივი აუტსორსინგის (მათ შორის, ძირითად საქმიანობაში გამოყენებული ინფორმაციული სისტემის აუტსორსინგული ხელშეკრულებების) მიმართ მოთხოვნების დადგენისა და მათი სამსახურთან შეთანხმების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ 2023 წლის 12 დეკემბრის N59 ბრძანება „მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ ინტერნეტით სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვის ან/და მომსახურების გაწევის პროცესის მიმართ მოთხოვნების დადგენის თაობაზე“;
- ✓ 2023 წლის 12 დეკემბრის N60 ბრძანება „მზღვეველისა და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეალურ დროში შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ 2023 წლის 12 დეკემბრის N61 ბრძანება „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 8 სექტემბრის №06 ბრძანებით დამტკიცებულ „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის და კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესში” ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ✓ 2023 წლის 13 დეკემბრის N 62 ბრძანება „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შეისწავლა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული საკანონმდებლო პაკეტები: „ტურიზმის შესახებ“, „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, „ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, „პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონებისა და მათგან გამო-

მდინარე კანონის პროექტები და აღნიშნულთან დაკავშირებით წარადგინა შესაბამისი პოზიციები.

საანგარიშო პერიოდში, ცვლილება შევიდა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში. ერთ-ერთი ცვლილება ეხება აქტუარის პოზიციის სავალდებულო წესით შემოტანას მზღვეველებში. ეს მიდგომა ფართოდ არის აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაში და ემსახურება მზღვეველის ფინანსური გათვლების სათანადოობის უზრუნველყოფას, სადაზღვევო რეზერვების ფორმირების სისწორეს და ზოგადად, მისი გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის საფუძველია; ნაწილი ცვლილებებისა განპირობებული იყო „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით, რომლის თანახმად 2019 წლის 30 ოქტომბრიდან სადაზღვევო ბროკერი განისაზღვრა ანგარიშვალდებულ პირად, ხოლო ხსენებული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა დაეკისრა სამსახურს. ამდენად, აუცილებელი გახდა სამსხურის მიერ თავისი საზედამხედველო ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელებისთვის, მისი უფლებამოსილების გაფართოება და სანქცირების უფლების მინიჭება, კომპეტენციის ფარგლებში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, სამსახურმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტის პროექტი „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის“ დამტკიცების შესახებ. საანგარიშო წელს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამსახურმა მოამზადა შემდეგი ნორმატიული აქტების საბოლოო პროექტები:

ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
ბ) ვიდეო თვალთვალის განხორციელების წესი;
გ) მონაცემთა გამჟღავნების წესი.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განიხილა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები „აგროდაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ და წარადგინა სამსახურის წერილობითი მოსაზრებები რეკომენდაციების მე-6 და მე-9 პუნქტებთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა:

- ✓ შეისწავლა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მიერ მოწოდებული საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელებით გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი პოზიცია წარედგინა სააგენტოს;
- ✓ შეიმუშავა “შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის №68 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

6 თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2023 წელს, საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესის სათანადოდ წარმართვის მიზნით, სამსახური კვლავ აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით მიმდინარე/ახალი პროექტების, კონფერენციების თუ სხვა სახის ღონისძიებების წარმართვის თვალსაზრისით და ჩართული იყო არა ერთი ღონისძიების საორგანიზაციო საკითხებში.

2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდა დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IAIS - International Association of Insurance Supervisors, შემდგომში IAIS) თანამშრომლობა და მათ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობა.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული IAIS-ის შეფასებისა და იმპლემენტაციის კომიტეტის (Assessment and Implementation Committee, შემდგომში IAC) შეხვედრებში მონაწილეობის მიზნით, სამსახურის უფროსისთვის შესაბამისი მასალებისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში. მოცემულის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ფიზიკურ და ვირტუალურ ფორმატში ჩატარდა ხუთი შეხვედრა, საიდანაც აღსანიშნავია, შვეიცარიის ქ.ბაზელში ჩატარებული შეხვედრა, სადაც განიხილეს საერთაშორისო საზედამხედველო სტანდარტები, ასოციაციის წევრ სადაზღვევო ზედამხედველებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების კუთხით გასატარებელი ღონისძიებები. შეხვედრაზე განიხილეს რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობაზე გადასვლის სახელმძღვანელოს შემუშავების საკითხი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ბაზრის და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის ზედამხედველთა ეროვნული ასოციაციის (National Association of Insurance Commissioners - NAIC) მიწვევით, სამსახურის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ.სიეტლში IAIS-ის IAC-ის შეხვედრაზე და გლობალურ სემინარზე. კომიტეტის შეხვედრაზე განხილული ძირითადი საკითხები ეხმიანებოდა დაზღვევის სფეროში სისტემური რისკის მონიტორინგის საფუძველზე მიღებული შედეგების განხილვას, ჯგუფურ ზედამხედველობას დაქვემდებარებული მზღვეველებისათვის კაპიტალის დაანგარიშების ტექნიკური მახასიათებლების გადახედვის საკითხს და ჰოლისტიკური ჩარჩოს დანერგვის შეფასების პრეზენტაციას. გლობალურ სემინარზე განიხილეს დაზღვევის სფეროში საერთაშორისო დონეზე არსებული გამოწვევები, აღრიცხვიანობის ახალი სტანდარტის IFRS 17 - ის დანერგვის შედეგად დამდგარი გამოწვევები და ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული გლობალური ზიანის საკითხები.

იაპონიაში, ქ.ტოკიოში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს IAIS-ის წლიურ საერთაშორისო კონფერენციაში. მოცემული ღონისძიება ასოციაციის არსებობის მანძილზე ერთ- ერთი ყველაზე მასშტაბური იყო, რომელიც გახსნა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა. კონფერენცია დაყოფილი იყო ასოციაციის დარგობრივი კომიტეტების შეხვედრების მიხედვით, მათში შემავალი წევრების მონაწილეობით, მათ შორის IAC-ის კომიტეტიც. წლიურ კონფერენციაზე იმსჯელეს მაკროეკონომიკური გარემოს გამოწვევებზე, კლიმატურ რისკებზე, ბაზრის ქცევაზე და მასთან მიმართებით ხელოვნური ინტელექტის როლზე. დაისახა ზედამხედველთა სოციალური როლის გაძლიერების სტრატეგია და 2025-2029 წლის სადაზღვევო სტანდა-

რტებისა და შესაძლებლობების განვითარების სტრატეგიული გეგმა.

ავსტრიის ქ.ვენაში სამსახურის უფროსი მიიწვიეს IAIS CESEE-ის კონფერენციის - „სადაზღვევო ბაზრის მომავალი და მათი ზედამხედველობა“ პანელურ დისკუსიაში - თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენა მომხმარებლების უფლებების დაცვაზე სამსჯელოდ. შეხვედრაზე განიხილეს: მაკროეკონომიკური რისკები, ფინანსური სტაბილურობის და სადაზღვევო პროდუქტების მოთხოვნა-მიწოდების საკითხები კლიმატის ცვლილებების ჭრილში. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დაზღვევის დისტრიბუციის ევრო დირექტივის დანერგვის მნიშვნელობაზე, ფინანსური განათლების წახალისებისა და ხელშეწყობის აუცილებლობაზე.

სამსახური მიიწვიეს სლოვენიის ქ.ლუბლიანაში სლოვენიის დაზღვევის ზედამხედველობის მიერ ორგანიზებულ IAIS-ის საერთაშორისო კონფერენციაზე „ხელოვნური ინტელექტი დაზღვევაში - ევოლუცია თუ რევოლუცია“ და ფინანსური ინკლუზიის ფორუმზე დასასწრებად, სადაც განიხილეს თანამედროვე ტენდენციები და ხელოვნური ინტელექტის როლი სადაზღვევო ინდუსტრიაში, ხოლო ფორუმი მიეძღვნა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების პროპორციულ გამოყენებას ინკლუზიურ დაზღვევაში, საჩივრების მართვას და ბიზნესის წარმოებას ინკლუზიურ დაზღვევაში, ასევე დაზღვევას მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ამასთან, დრო დაეთმო გარემოსდაცვითი, მდგრადობისა და მმართველობის ფაქტორების განხილვას.

2023 წელს სამსახური ავსტრიის ქ.ვენაში დაესწრო ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ამიერკავკასიის რეგიონული კომიტეტის (Central, Eastern EU and Transcaucasian Region, შემდგომში CEET) კონფერენციას - „სადაზღვევო ბაზრების მომავალი და მათი ზედამხედველობა“. კონფერენციაზე დისკუსია გაიმართა თემაზე თანამდეროვე ტექნოლოგიების ზეგავლენა მომხმარებლების უფლებების დაცვაზე, დაზღვევის სფეროში ციფრული პლატფორმების გამოყენების მნიშვნელობაზე და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. შეხვედრაზე, ასევე, ყურადღება დაეთმო დაზღვევის დისტრიბუციის დირექტივის (IDD) დანერგვის მნიშვნელობას და მომხმარებლების უფლებების უკეთ დაცვას, ასევე ფინანსური განათლების ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა მონტენეგროს ქ.ბუდვაში მონაწილეობა მიიღო IAIS-ს ეგიდით გამართულ ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სადაზღვევო ზედამხედველობის ინიციატივის (Central-Eastern and South-Eastern European Insurance Supervision Initiative, შემდგომში CESEE ISI) შეხვედრაში. შეხვედრაზე განიხილეს ინფლაციის გავლენა სადაზღვევო კომპანიების კაპიტალის მდგომარეობაზე, ფრონტინგული პოლიტიკა დაზღვევაში, გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მმართველობა (ESG) სადაზღვევო ზედამხედველობაში, მდგრადობა, კლიმატთან დაკავშირებული რისკები. მივლინების ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან შედგა შეხვედრა, სადაც შეთანხმდა საქართველოში 2023 წლის ოქტომბრის თვეში დაგეგმილი CEET ღონისძიების ჩატარებისთვის აუცილებელი ტექნიკური საკითხები.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა თანამშრომლობა საპენსიო ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IOPS - The International Organization of Pension Supervisors) და IOPS-ის წევრობის ფარგლებში სამსახური დაესწრო ინდოეთის ქ.ჰაიდარაბადში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ორგანიზებული იყო ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, აზიის განვითარების ბანკის და ინდოეთის სადაზღვევო რეგულატორის (OECD-ADBI-IRDAI Roundtable on Insurance and Retirement Saving in Asia) მიერ. შეხვედრაზე გააზიარეს აზიის რეგიონის გამოცდილება სადაზღვევო/საპენსიო სექტორის რეგულირების მიმართულებით, მათი დანერგვის და გაფართოება/გაძლიერების შესაძლებლობები და გამოწვევები.

2023 წელს სამსახურის წარმომადგენელი III პილარის (ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემა) ფარგლებში იმყოფებოდა OECD-ს,

IOPS-ის და ზიმბაბვეს დაზღვევის და საპენსიო კომისიის მიერ (IPEC) ორგანიზებულ ყოველწლიურ გლობალურ ფორუმზე/კონფერენციაზე ზიმბაბვეში, ქ.ვიქტორია ფოლში. აღნიშნულ ფორუმზე მონაწილეობდნენ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სხვადასხვა შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები, აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას ესწრებოდ II პილარის (სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემა) ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი და ზოგადი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის კუთხით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

წინა წლების მსგავსად, 2023 წელსაც გაგრძელდა ევროპის სადაზღვევო და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ორგანოსთან თანამშრომლობა (European Insurance and Occupational Pensions Authority, შემდგომში EIOPA).

საანგარიშო პერიოდში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ.ფრანკფურტში სამსახურის უფროსი კონფერენციის ორგანიზატორებმა, EIOPA-მ და დაზღვევის რეგულირების საერთაშორისო ცენტრმა (International Center for Insurance Regulations - ICIR) სპიკერად მიიწვიეს „აღმოსავლეთ თანამშრომლობის კონფერენციაზე“ - „ახალი რისკები და ძირითადი საზედამხედველო საკითხები რეგიონში“ თემაზე სასაუბროდ. შეხვედრაზე განიხილეს არსებული მაკრო-ეკონომიკურ სიტუაცია, საზედამხედველო გამოწვევები, ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის კანონპროექტი და სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო პროდუქტები და გაყიდვების არხების განვითარება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ.ფრანკფურტში, სამსახურის უფროსი დაესწრო დაზღვევის რეგულირების საერთაშორისო ცენტრის (ICIR), EIOPA-ს და გოეთეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას, სადაც წამყვანი სადაზღვევო და გადაზღვევის ჯგუფების, მარეგულირებელი და ზედამხედველი უწყებების, ასევე, აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გაიმართა დებატები დაზღვევის საერთაშორისო ზედამხედველობა და რისკზე დაფუძნებული გლობალური ტენდენციების, დაზღვევის ზედამხედველობა ცვალებად გარემოში და საერთაშორისო ზედამხედველობის პერსპექტივის თაობაზე.

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის ფარგლებში, ავსტრიის ქ.ვენაში სამსახური დაესწრო მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას, სადაც ძირითად საკითხად განიხილეს დაზღვევის ახალი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS 17) დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები, მდგრადობის ანგარიშგება და კლიმატის რისკი რეგულატორებისთვის და სხვა აქტუალური საკითხები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური მსოფლიო ბანკმა მიიწვია „საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების“ (2019-2022წ.წ.) პროექტის დახურვით ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა ქ.თბილისში. ხსენებული პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა სამსახურს გაუწიეს ტექნიკური დახმარება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ახალი სადაზღვევო პროდუქტების განვითარება-დანერგვის მიმართულებით. პროექტის საერთაშორისო ექსპერტებმა მოამზადეს საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის, სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევის, მშენებლებისა და არქიტექტორების პასუხისმგებლობის დაზღვევის განვითრების ანგარიშები/რეკომენდაციები, ასევე შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამის გაუმჯობესების კუთხით. ღონისძიებაზე სამსახურმა მოკლედ შეაჯამა პროექტი, ისაუბრა მის დადებით მხარეებზე და სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივებზე.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა „აღმოსავლეთ ევროპის რისკის დაზღვევის ასოციაცია“-სთან (Eastern European Risk Insurance Association - EERIA) თანამშრომლობა, რომლის წევრობის ფარგლებში, პოლონეთის ქ.პოზნანში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს SGH-ის ვარშავის ეკონომიკის სკოლის, პოზნანის ეკონომიკისა და ბიზნესის

უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ EERIA-ის მეორე ყოველწლიურ კონფერენციაში. კონფერენციის მიზანი იყო დაზღვევის მიმართულებით სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის დიალოგი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების და ცოდნის გაზიარება.

6.1 TAIEX - ევროკავშირის მოკლევადიანი ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი

2023 წლის 23-27 ოქტომბერს, ევროკავშირის მოკლევადიანი ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (Technical Assistance and Information Exchange Instrument - TAIEX) ფარგლებში, სამსახურს ეწვია ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფი ესპანეთიდან, საქართველოს კანონმდებლობაში დაზღვევის დისტრიბუციის დირექტივის (Insurance Distribution Directive – IDD) 2016/97 და გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მმართველობის (Environmental, Social and Governance - ESG) ფაქტორების სადაზღვევო ინდუსტრიაში იმპლემენტაციის საკითხების განხილვის თაობაზე.

2023 წელს, 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის (TWINNING) TAIEX შემფასებელი მისიით (TAIEX Twinning Review Mission - TRM) ეწვია ესპანეთის ეკონომიკურ საქმეთა და ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დაზღვევისა და საპენსიო ფონდების გენერალური დირექტორატის და ხორვატიის ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის ექსპერტთა ჯგუფი, 2019-2022 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის - „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება“, „დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ (‘SOLVENCY II) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განხორციელებული შედეგების მიმდინარეობისა და შემდგომი მხარდაჭერის საჭიროებების შეაფასების მიზნით. საბოლოო ანგარიშის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული ყველა აქტივობა წარმატებით განხორციელდა და მიღებული შედეგები თავდაპირველ მიზანთან და ამოცანებთან შესაბამისობაშია. ექსპერტების მიერ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შედეგები მეტად თვალსაჩინო იქნება მას შემდეგ, რაც სადაზღვევო აქტის პროექტი გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

6.2 საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებები

2023 წლის 5-6 ოქტომბერს, IAIS-ის რეგიონალური კომიტეტის ფარგლებში, პირველად ამიერკავკასიის მასშტაბით, სამსახურმა საქართველოში, ქ.თბილისში უმასპინძლა ორდღიან IAIS-ის CEET-ის ყოველწლიურ კონფერენციას, რომლის ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები სამსახურის თანამშრომლები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნების ალბანეთის, სომხეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, აზერბაიჯანის, უკრაინის და მონტენეგროს დაზღვევის საზედამხედველო უწყების წარმომადგენლებმა, ხოლო რეგიონის მიღმა დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, იორდანიის, სამხრეთ აფრიკის, მალაიზიის და ტაილანდის დაზღვევის ზედამხედველობის უწყების, სადაზღვევო ინდუსტრიისა და სამეცნიერო აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, დარგის ექსპერტებმა

და მოწვეულმა სტუმრებმა ავსტრიის, ბელგიის, ჩრდილოეთ მაკედონიის, სერბეთი და ბოსნია ჰერცოგოვინის სადაზღვევო სფეროში მოღვაწე პირებმა.

კონფერენციაზე რეგიონის და სხვა მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა განიხილეს მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მმართველობის (ESG) საკითხები და მასთან დაკავშირებული რეგულაციები, გადახდისუნარიანობა 2-ს სტანდარტის ('SOLVENCY II) დანერგვის თავისებურებები, დაზღვევის დისტრიბუციის ევრო დირექტივასთან დაკავშირებული დანერგვის სტრატეგია და რეგიონალურ ჭრილში მასთან დაკავშირებული პრიორიტეტები, სექტორში დიგიტალიზაციისა და კიბერუსაფრთხოების საკითხები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოწვეული უცხოელი სტუმრების მხრიდან მიღებული დადებითი გამოხმაურებების გათვალისწინებით, სამსახურმა მიიღო შეთავაზება და თანხმობა განაცხადა, უმასპინძლოს შეხვედრებს ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნების დაზღვევის ზედამხედველთა ინიციატივის (CESEE ISI - Central Eastern and South Eastern European Insurance Supervision Initiative) ფარგლებში, რომელიც დაიგეგმა 2025 წლის შემოდგომისთვის.

გაგრძელდა სამსახურსა და დაზღვევა/გადაზღვევის, დაზღვევის საშუამავლო საქმიანობის და კერძო საპენსიო დაზღვევის საკითხებზე სპეციალიზებულ „მედია სააგენტო XPRIMM"-თან (Promoting the Reinsurance & Insurance Market by Media) თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც სამსახურის უშუალო ჩართულობით მოწვეულ უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან ერთად, ნაწილობრივ სადაზღვევო ინდუსტრიის ფინანსური მხარდაჭერით ქ.თბილისში, 2023 წლის 4-5 მაისს ჩატარდა კონფერენცია (Georgia International Insurance Conference) და სამუშაო შეხვედრა (Workshop Solvency II). ღონისძიებაზე განიხილეს ადგილობრივი სადაზღვევო ინდუსტრიის გამოწვევები და სამომავლო გეგმები, როგორიცაა გადახდისუნარიანობა 2-ის სარეგულაციო ჩარჩო და მისი დანერგვის ეტაპები. ასევე, შეხვედრაზე იმსჯელეს ავტომობილის მფლობელთა მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დანერგვის საკითხებზე.

6.3 სხვა საერთაშორისო აქტივობები

ავსტრიის ქ.ვენაში სამსახური იმყოფებოდა „მედია სააგენტო XPRIMM"- ის მიერ ორგანიზებულ ორ კონფერენციაზე - ESG სადაზღვევო ინდუსტრიაში და მოტორ დაზღვევა, რომელსაც ასევე ესწრებოდა სამსახურის წარმომადგენელი. ღონისძიებაზე ფართოდ განიხილეს ე.წ. მზარდი „greenwashing"-ის რისკი და მასთან მიმართებაში რისკზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვის აუცილებლობა, მზღვეველების/გადამზღვეველების მიერ ანგარიშში მდგრადობის გათვალისწინების ვალდებულება, ისევე როგორც ინვესტირების ზეგავლენა მდგრადობის მიზნებზე. ხოლო, მოტორ დაზღვევის კონფერენციაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო ავტომობილის დაზღვევის სფეროში ციფრული სერვისების განვითარების მიღწევები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობა.

სამსახურის წარმომადგენლები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად „ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის" კანონპროექტზე მუშაობის ფორმატში სამუშაო ვიზიტით სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის ქ.ბაქოში, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკში და სომხეთის ქ.ერევანში სომხეთის ცენტრალურ ბანკში, ამ მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარების, ანალოგების შესწავლისა და შეფასების მიზნით.

თურქეთის ქ.სტამბოლში, სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან და აზიის განვითარების ბანკის კონსულტანტთან ერთად დაესწრო აზიის განვითარების ბანკის (ADB) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით გამართულ კატასტროფების რისკის დაფინანსების ფორუმს და კონფერენციას - სადაზღვევო რისკის დაფინანსებაზე (Disaster Risk Financing Forum and Conference on Insurance Risk Financing). ღონისძიებაზე განიხილეს კატასტროფებისა და პანდემიის რისკების დაფინანსების მეთოდები, ბუნებრივი კატასტროფების დაზღვევისა და გადაზღვევის საკითხები აგროდაზღვევაში, მარეგულირებლებისა და ზედამხედველების როლი დაზღვევისა და გადაზღვევის სფეროში ინოვაციური გადაწყვეტილებების განვითარების ხელშესაწყობად.

ნიდერლანდების ქ.ამსტერდამში, ევროპის რისკებისა და შესაბამისობის პლატფორმის ორგანიზაციის მიწვევით, სამსახური დაესწრო საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგს - „შესაბამისობის მენეჯმენტი და ნდობის აღდგენა". ტრენინგზე განიხილეს რისკისა და შესაბამისობის მართვის პრაქტიკული ასპექტები, სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები, შესაბამისობის სისტემის მართვა რისკზე დაფუძნებული მიდგომით, ზედამხედველების როლი კორპორატიული ეთიკის და შესაბამისობის პროგრამებთან მიმართებით, ოფშორული კომპანიებიდან გამომდინარე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, ფულის გათეთრებისა დ ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული რისკების შეფასება და სხვა.

ავსტრიის ქ.ვენაში, სამსახური დაესწრო ფინანსური ბაზრის ზედამხედველი ორგანოს (The Austrian Financial Market Authority) მიერ ორგანიზებულ კონფერენციას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საკითხებში. კონფერენციაზე განიხილეს ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტუალური საკითხი, საზედამხედველო კოლეჯების მნიშვნელობა ზედამხედველობის პროცესში და თუ რა ინფორმაციის გაზიარება არის მნიშვნელოვანი აღნიშნული კოლეჯების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

პოლონეთში, ქ.ვარშავაში პოლონეთის ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს (UKNF) მიწვევით, სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ საერთაშორისო სემინარს - სადაზღვევო პროდუქტის ღირებულება (Insurance Product Value). სასწავლო პროგრამა განხორციელდა პოლონეთის ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს სასწავლო ცენტრის - Training Initiative for Financial Supervision (TIFS) მიერ. სემინარის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სადაზღვევო პროდუქტების ღირებულების შესახებ საკითხების გაცნობა.

ესპანეთის ქ.მადრიდში სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ფინანსური ბაზრების სამი საზედამხედველო უწყების (European Supervisory Authorities - ESAs) მიერ ორგანიზებულ ფინანსურ სექტორში მომხმარებლის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. შეხვედრაზე განიხილეს ვებ- გვერდებსა და აპლიკაციებში გამოყენებული საშუალებები - ე.წ. „Dark patterns", სადაზღვევო ბაზარზე ტრანსსასაზღვრო გაყიდვების ტენდენციები და კრიპტო აქტივების რეგულირება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით.

სამსახური მოლდოვის, ქ.კიშინიოვში დაესწრო მოლდოვის ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ მოლდოვის რესპუბლიკის დაზღვევის კონფერენციას. შეხვედრაზე განიხილეს ლიცენზირებისა და ზედამხედველობის სრულად დიგიტალიზაციის პრიორიტეტი, გაკეთდა გადახდისუნარიანობა 1- ისა და გადახდისუნარიანობა 2-ის შედარებითი ანალიზი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მესამე პირისადმი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე, მისი გადაზღვევის საკითხებსა, მწვანე ბარათის სისტემის და ბიუროების საბჭოს ფუნქციონირების თემებზე.

ხორვატიის ქ.ოპატიაში სამსახური დაესწრო ხორვატიის ფინანსური სერვისების საზედამხედველო სააგენტოს (HANFA) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას - „დაზღვეული რისკები არაპროგნოზირებად

დროში“. კონფერენცია დაეთმო დაზღვევის სფეროში არსებულ მდგრადობის საკითხებს, მაკრო-პრუდენციულ და სისტემურ რისკებს, კიბერ და საოპერაციო მდგრადობას.

6.4 კვლევები და კითხვარები

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო IAIS-ის მიერ წევრი ორგანიზაციებისთვის განკუთვნილ კვლევაში კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების თაობაზე. კვლევის პასუხების საფუძველზე, დაზღვევის მხარდასაჭერად, დაგეგმილია შესაბამისი ანალიზის მომზადება.

ასევე, IAIS-ის CEET-ის ფარგლებში სამსახურმა მონაწილეობა მიიღო კვლევაში - სადაზღვევო ზედამხედველობაში გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მმართველობის (ESG) სადაზღვევო რეგულაციების და/ან ინიციატივების არსებული მდგომარეობის დადგენის თაობაზე. არსებული ემსახურება სადაზღვევო ბაზარზე მდგრადობის ინიციატივების პროგრესის მონიტორინგს, სექტორში ESG ფაქტორის და ფინანსური მდგრადობის განვითარებას. კითხვარის შედეგები გაუზიარეს ქ. თბილისში CEET რეგიონის კონფერენციის მონაწილეებს.

IOPS ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურმა სხვადასხვა დროს დაამუშავა კითხვარები, შემდეგ თემებზე: არასახელმწიფო საპენსიო სქემების შესახებ არსებული მონაცემების თაობაზე, სადაც წარმოვადგინეთ ქვეყნის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მოკლე მიმოხილვა და მაკროეკონომიკური და დემოგრაფიული მონაცემები; ქვეყანაში არსებული არასახელმწიფო საპენსიო სქემების დეტალური მიმოხილვა (საკანონმდებლო გარემო); დიგიტალიზაციის როლი საპენსიო ზედამხედველობის საქმიანობაში; საპენსიო ფონდების ლიკვიდურობის რისკები; საპენსიო ინვესტიციების ზედამხედველობის წინასწარი ანგარიში, ESG - ის იმპლემენტაცია.

7 გადახდისუნარიანობა 2-ს დირექტივასთან ჰარმონიზაციის პროცესი

2023 წელს სამსახურმა გააგრძელა „დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ (გადახდისუნარიანობა 2/SOLVENCY II) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიმართულებით სამუშაოები. კერძოდ, ინტენსიურად ხდებოდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის (TWINNING) - „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში (2019-2022წწ) ესპანელი ექსპერტების მიერ მომზადებულ კანონპროექტზე.

ვინაიდან დირექტივის მოთხოვნები სისტემური ხასიათისაა და მასთან ჰარმონიზაციით სრულებით იცვლება დაზღვევის სარეგულაციო ჩარჩო, ისევე როგორც სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის პროცესისადმი მიდგომები, მისი იმპლემენტაციის საკითხი დროში განგრძობადია და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალში კვლავ გაგრძელდება, თუმცა 2024 წლის ბოლოსათვის დაგეგმილია კანონპროექტზე მუშაობა გაგრძელდეს სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით.

8 ევროკავშირთან ინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდში, სამსახური ჩართული იყო ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების ვალდებულების შესრულების მონიტორინგისა და პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი სამართლებრივი დაახლოების ელექტრონული პლატფორმის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებში. კერძოდ, მონაწილეობდა ტრენინგში, რომლის ფარგლებში გაეცნო ინფორმაციას და პრაქტიკულ დეტალებს აღნიშნულ პლატფორმაზე მუშაობასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, სამსახურის მიერ მომზადდა ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მიმართულებით, რაც მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შესრულების მდგომარეობის ასახვას.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული მოთხოვნის საპასუხოდ, ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ფარგლებში, საქართველოსთან მიმართებაში ევროკომისიის შეფასების ანგარიშისთვის სამსახურმა დაამუშავა ინფორმაცია სამსახურის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ და აცნობა მოთხოვნილი წესით.

ასევე, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის I თემატური ჯგუფის - "ეკონომიკური დიალოგი, საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი; სტატისტიკა; ფინანსური მომსახურება; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი“ მე-7 სხდომაში, სადაც განიხილეს სამსახურის მიერ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის საკითხები.

9 მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული სამუშაოები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშრებით, სამსახურს, 2023 წელს წარედგინა 176 ახალი განცხადება, ამავდროულად მიმდინარეობდა 2022 წელს მიღებულთაგან 9 განცხადების განხილვა. ჯამურად, 2023 წელს სამსახურმა დაასრულა საქმისწარმოება 179 განცხადებაზე, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმისწარმოება მიმდინარეობდა 8 განცხადებაზე.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა ჩაატარა 216 (ყოველთვიური) მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ ანგარიშგების რევიზია და მოამზადა შესაბამისი სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათები.

დისტანციური მონიტორინგის და მომხმარებლების განცხადებების განხილვის ფარგლებში გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის დარღვევები და მათი სერიოზულობისა და სიმძიმის მიხედვით განხორციელდა შესაბამისი სახის სანქციების გამოყენება. კერძოდ, ჯამში სამსახურმა 11-ჯერ გამოიყენა სანქცია, წერილობითი გაფრთხილება - 2, წერილობითი მითითება - 2 და ფულადი ჯარიმა - 7.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, მიმდინარე წელს შესული ცვლილებების მიხედვით, სამსახურს დაევალა გამოეცა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც, სამსახური მომავალში უფლებამოსილი იქნება განახორციელოს სადაზღვევო ორგანიზაციის ან დაზღვევის შუამავლის შემოწმება, რეალურ დროში დაკვირვების (მისტიური დაკვირვება) მეთოდის გამოყენებით. ცვლილების შესაბამისად, სამსახურმა მოამზადა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი „მზღვეველისა და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეალურ დროში შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც გამოიცა და დამტკიცდა სამსახურის მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურის ინიცირებით, მომზადდა და ცვლილება განხორციელდა სამსახურის უფროსის 2017 წლის 03 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. კერძოდ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და გამოცდილების გათვალისწინებით, რისკზე დაფუძნებული საზედამხედველო მიდგომების დანერგვის მიზნით, შეტანილი ცვლილებით, სამსახურის უფროსს მიენიჭა უფლებამოსილება, ცალკეული მზღვეველის მიმართ, დაადგინოს, მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ ანგარიშგების განსხვავებული პერიოდულობა.

სამსახური, ასევე, სხვა მარეგულირებელ უწყებებთან ერთად, ჩართული იყო, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში ევროკავშირის დახმარების პროექტის (Twinning) ფარგლებში, მომხმარებლის დაცვის პირველი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში. მომხმარებლის დაცვის პირველი ეროვნული სტრატეგია, წარმოადგენს სამწლიანი პერიოდის დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც ადგენს მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს. სტრატეგია ეხება მომხმარებელთა დაცვის რეგულირებისა და აღსრულების ამჟამინდელ სტატუსს, ასახავს არსებულ გამოწვევებს, რომლებსაც აწყდებიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები და მიმოიხილავს აუცილებელ ზომებს საქართველოში მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მისაღწევად.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო პროდუქტების რეალიზაციის ფარგლებში სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება/რეალიზების ბაზრის მონიტორინგის ანგარიში. ამასთან, აღნიშნული მოკვლევისა და შემდგომ მომზადებული რეკომენდაციების პროექტში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სააგენტოსთან. მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში გაცემული სავალდებულო რეკომენდაციების აღსრულების ნაწილში, სამსახურის ინიცირებით შედგა სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული მხარეები სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, არიან ეროვნულ ბანკი და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, რათა მაქსიმალურად მოწესრიგდეს გამოკვეთილი გამოწვევები, რაც მოემსახურება მომხმარებლების ინტერესების უკეთ დაცვას.

9.1 სიახლე სამოგზაურო დაზღვევის ბაზარზე

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა აწარმოა სამოგზაურო დაზღვევის ბაზრის მოკვლევა. მოკვლევის ფარგლებში, შესწავლილი იყო საქართველოში მოქმედი მზღვეველების სამოგზაურო დაზღვევის პირობები, ლიმიტების და ქვე-ლიმიტების ოდენობები, დაზღვევის პირობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხი, ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით სამსახურის რეკომენდაციის შესრულება და ისეთი სტატისტიკური მონაცემები, როგორიც არის სადაზღვევო პორტფელი (ბაზრის მოცვა, მოზიდული პრემია, გაცემული პოლისების რაოდენობა) და ზარალიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ სამოგზაურო დაზღვევა ცნობილია როგორც „მცირე ბიუჯეტიანი“ სადაზღვევო პროდუქტი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან, სადაზღვევო შემთხვევის დროს ანაზღაურების საკითხი ცალკეული დაზღვეულებისათვის შესაძლოა გახდეს კრიტიკულად, ან რიგ შემთხვევებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მოკვლევის შედეგებისა და ასევე, ევროკავშირის სავიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული მოთხოვნების და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამსახურმა შეიმუშავა და დაადგინა, მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამოგზაურო დაზღვევის პირობები.

კერძოდ, უცხოეთში მიმავალ პირთა სამოგზაურო დაზღვევის პირობები უნდა აკმაყოფილებდეს, არანაკლებ შემდეგ მოთხოვნებს:

1. სამოგზაურო დაზღვევის იმ ხელშეკრულებებში, სადაც სამოგზაურო დაზღვევის ჯამური ლიმიტი ნაკლებია 30,000 (ოცდაათი ათასი) ევრო/აშშ დოლარზე ან მის ეკვივალენტზე:

ა) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ლიმიტი, უნდა განისაზღვროს არანაკლებ ჯამური ლიმიტის 10%-სა, მაგრამ, არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ერთეულისა (სადაზღვევო თანხის ვალუტის შესაბამისად);

ბ) გადაუდებელი ქირურგიული მომსახურება უნდა იყოს ჯამური ლიმიტის (სადაზღვევო თანხა) თანადი;

გ) თუ გადაუდებელი სტაციონარული/ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯი იანგარიშება დღიურად, დღიური ლიმიტი უნდა შეადგენდეს, არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ერთეულისა (სადაზღვევო თანხის ვალუტის შესაბამისად);

2. სამოგზაურო დაზღვევის იმ ხელშეკრულებებში, სადაც ჯამური ლიმიტი ტოლია ან აღემატება 30,000 (ოცდაათი ათასი) ევროს/აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს:

ა) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ლიმიტი, უნდა განისაზღვროს არანაკლებ 5 000 (ხუთი ათასი) ერთეულისა (სადაზღვევო თანხის ვალუტის შესაბამისად); გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება უნდა განიმარტოს იმგვარად,

რომ პაციენტისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება ან დაყოვნება, არ აღემატებოდეს 24 საათს.

ბ) გადაუდებელი ქირურგიული მომსახურების ლიმიტი, უნდა განისაზღვროს არანაკლებ 30,000 (ოცდაათი ათასი) ერთეულისა, სადაზღვევო თანხის ვალუტის შესაბამისად;

გ) თუ გადაუდებელი სტაციონარული/ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯი იანგარიშება დღიურად, დღიური ლიმიტი უნდა შეადგენდეს, არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ერთეულისა, სადაზღვევო თანხის ვალუტის შესაბამისად;

3. სადაზღვევო პოლისის დიზაინი უნდა მოიცავდეს ყველა ქვე-ლიმიტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

4. დაზღვევის პირობები უნდა მიეწოდოს მომხმარებელს არანაკლებ იმავე ფორმით, რა ფორმითაც დაიდო დაზღვევის ხელშეკრულება და დამზღვევს მიეწოდა დაზღვევის პოლისი (ამ მიზნებისთვის, დაუშვებელია დაზღვევის პირობების მიწოდებად ჩაითვალოს დათქმა გაცნობის ან მიწოდების თაობაზე ან მზღვეველის მითითება პირობების ნებისმიერ სერვერზე, ვებ-გვერდზე არსებობის თაობაზე);

5. სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგა და არ დასრულებულა სადაზღვევო პერიოდში, უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას სრულად ლიმიტის ფარგლებში. ამასთან, თუ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი იანგარიშება დღიურად, ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს, სადაზღვევო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღის ხარჯი;

6. დაზღვევამდე არსებული ან ქრონიკული დაავადებების გართულების ანაზღაურების პირობა, არანაკლებ იმ შემთხვევისა, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებლივი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია;

ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებული პირობები სრულად მოვიდეს შესაბამისობაში სამსახურის 2021 წლის 1 აპრილის N4 რეკომენდაციასთან. ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 15 იანვარი.

10 ფინანსური განათლების მიმართულებით გაწეული სამუშაოები

ფინანსური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში, სამსახურის მხარდაჭერით დაიბეჭდა ლუიჯი ვანვიტელის სახელობის კამპანიის უნივერსიტეტის (The University of Campania "Luigi Vanvitelli") პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ინსტიტუციური თანამშრომლობითა და თანა ორგანიზებით გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნი – „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარები - "Commentary on Georgian Insurance Law".

წიგნის პირველი პრეზენტაცია, 2023 წლის 26 იანვარს შედგა რომის საპიენცას უნივერსიტეტში (Sapienza University of Rome) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ხოლო საქართველოში დაინტერესებული პირებისათვის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა 2023 წლის 2 მაისს, დაზღვევის დღეს.

მომხმარებლების უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში (13-17 მარტი), სამსახურის აქტიური ჩართულობით და კოორდინირების შედეგად, სადაზღვევო კომპანიებმა, მომხმარებლის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა აქტივობები გამართეს. მათ, შორის 17 მზღვეველისა და საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის ჩართულობით მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ვიდეო რგოლი - დაზღვევის სფეროში მომხმარებლის ძირითადი უფლებების შესახებ.

ასევე, კვირეულის ფარგლებში, საქართველოს მარეგულირებელმა უწყებებმა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ეროვნული ბანკი, სემეკი, სურსათის ეროვნული სააგენტო) გამართეს ერთობლივი ღონისძიებები და მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით სექტორულად განიხილეს განხორციელებული რეფორმები, მიღებული შედეგები, არსებული გამოწვევები, აღსრულების მექანიზმები, მომხმარებელთა ინფორმირების ეფექტური კამპანიები და საერთაშორისო გამოცდილებები. კვირეულის ფარგლებში უწყებების წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა თბილისში, სადაც დაინტერესებულ პირებთან, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებები და სტუდენტები. კვირეულის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა აჭარაში, კერძოდ ბათუმში, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ბათუმის მერიის, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ბათუმში ღონისძიება გაიმართა პანელური დისკუსიის ფორმატით, სადაც სამსახურმა ყურადღება გაამახვილა დაზღვევის სფეროში მომხმარებლის ძირითად უფლებებზე, მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოსა და ამ უფლებების დაცვისთვის სამსახურის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე.

2022 წელს, „საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის" გადაწყვეტილებით, დაწესდა დაზღვევის დღე - 2 მაისი, რომელიც 2023 წელს მეორედ აღინიშნა კვირეულის ფორმატით.

სამსახურის უშუალო ჩართულობით, კვირეულის ფარგლებში მომზადდა არაერთი საინფორმაციო-შემეცნებითი მასალა და გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება. კერძოდ, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი დაზღვე-

ვასთან დაკავშირებულ მითებსა და რეალობაზე, ბროშურა - მომხმარებლის მარტივი გზამკვლევი, დავის ალტერნატიული განხილვის მექანიზმებთან დაკავშირებით, სადაზღვევო ასოციაციის მხარდაჭერით, სადაზღვევო საკითხებზე მომზადდა შემეცნებითი კროსვორდი. ასევე, სამსახურის ინიციატივით და მოწვევით Finოსოფიური დღიურებში, განხორციელდა ორი ლაივ ჩართვა, თემაზე „სადაზღვევო ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობები და უპირატესობები“ და „სადაზღვევო ბროკერის როლი სადაზღვევო ურთიერთობებში“, სადაც მოწვეულნი იყვნენ სადაზღვევო სექტორის შესაბამისი გამოცდილების ექსპერტები. კამპანიის ფარგლებში მომზადებული მასალა გამოქვეყნდა პორტალზე - www.finedu.gov.ge-ზე.

კვირეულის ფარგლებში სამსახურის უფროსი ეწვია საერთაშორისო აკადემიას „ლოგოსი“ და მოსწავლეებს დაზღვევის მნიშვნელობაზე, საქართველოში დაზღვევის განვითარების ისტორიასა და ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტებზე ესაუბრა. მოსწავლეებს მიეცათ საშუალება დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები, სამსახურის უფროსის შეხვედრა მოსწავლეებთან დასრულდა საინტერესო დისკუსიებით. მოსწავლეებს გადაეცათ, ფინანსური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში, სამსახურის მიერ დაზღვევის თემაზე მომზადებული შემეცნებითი სამაგიდო თამაშები, კალენდრები, კროსვორდები და ბროშურა - დაზღვევაზე გავრცელებულ რამდენიმე მითისა და რეალობის შესახებ.

სამსახურის ორგანიზებით, დაზღვევის დღესთან დაკავშირებით სასტუმრო „პულმანში“ გაიმართა ღონისძიება, რომლის სტუმრები იყვნენ სამთავრობო და საპარლამენტო ხელისუფლების წევრები, უცხოელი და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები, სადაზღვევო სექტორი. სტუმრები გაეცნენ ფინანსური განათლების სტრატეგიის ფარგლებში სამსახურის მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტროსა მიერ, დაზღვევის დღეს, 2023 წლის 2 მაისს, გამოცხადდა მასწავლებლების კონკურსი „ფინანსური განათლება სკოლებში“. კონკურსის მიზნები და ზოგადი ამოცანებია: მასწავლებელთა მოტივირება ფინანსური განათლების საკითხებით მეტად დაინტერესების, ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფინანსური წიგნიერების საკითხების ეფექტურად სწავლების მიზნით მასწავლებელთათვის დამხმარე მასალების შეკრება; მოსწავლე ახალგაზრდობის სეგმენტში ფინანსური განათლების საკითხების სწავლის პროცესის ეფექტურობის ზრდა.

მომავალშიც, ფინანსური განათლების ერთობლივი ხელშეწყობის მიზნით, დაზღვევის დღეს დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამსახურსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის.

დაზღვევის კვირეულს, კერძო სადაზღვევო ინდუსტრიის ინიციატივით საქართველოში დაზღვევის ცნობადობისა და კულტურის ამაღლებისაკენ მიმართული სპეციალური კამპანია მიეძღვნა. კამპანიაში ბაზარზე მოქმედმა 17-მა სადაზღვევო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

დააზღვიე, სანამ ურემი გადაბრუნდება - ყველასათვის ცნობილი ქართული ანდაზის პერიფრაზი, დაედო საფუძვლად კრეატიული პოსტერების სერიას, რომელიც შეიქმნა დაზღვევის დღისთვის და ვრცელდებოდა კვირეულის ფარგლებში.

აღნიშნულ კამპანიას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიც შეუერთდნენ და საკუთარი შეხედულებით დაზღვევის საჭიროებასა და სიკეთეებზე ვიდეო ბლოგებში ისაუბრეს.

სამსახური, ასევე, აქტიურად იყო ჩართული, საანგარიშო წლის 16-18 ნოემბერს კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ II საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც გაიხსნა თბილისში და დაიხურა კახეთში. სამდღიანი კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“, გაიმართა ქვეყნის 5

მარეგულირებელი უწყების - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, სემეკის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, რომლის მიზანი საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება და მომხმარებლის უფლებების მექანიზმების გაუმჯობესებაა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა. დავით ონოფრიშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე და ამ მხრივ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება. ამასთან, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გამართულ პარალელურ თემატურ სესიებზე, პრეზენტაცია წარადგინა სამსახურმა და დაზღვევაში მომხმარებლის უფლებების დაცვის ტენდენციებსა და გამოწვევებზე იმსჯელა. კონფერენციაში სამთავრობო და საპარლამენტო გუნდის, დიპლომატიური კორპუსის, მეგობარი ქვეყნების, ბიზნესის, არასამთავრობო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლების და დარგის სპეციალისტების გარდა, 20 ქვეყნის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის, მთავარი მომხსენებლის რანგში კონფერენციაზე მოწვეული გახლდათ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლისა და პოლიტიკის გლობალური კონკურენციის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის კონკურენციის სამართლის ცენტრის დირექტორი, უილიამ ე.კოვაჩიჩი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სამსახურმა 2024 წლისთვის მოამზადა სადაზღვევო პროდუქტების თაობაზე შემეცნებითი კალენდრები.

11 ადამიანური კაპიტალის მართვის და განვითარების მიმართულებით გაწეული სამუშაოები

2023 წლის აპრილის თვეში, სამსახურში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი და დაიწყო სამსახურის სტრატეგის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. ჩატარდა შიდა ორგანიზაციული ანალიზის პროცესი, გადაიხედა სამსახურში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და შემუშავდა ორგანიზაციული აღწერები. შემუშავდა სამსახურის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია; განისაზღვრა სამსახურის საქმიანობის კონცეპტუალური ჩარჩო, სამსახურის მისია, მიზანი, პრიორიტეტული მიმართულებები და მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ამოცანები.

სამსახურის განვითარების ზემოხსენებული სტრატეგია 2024-2028 წწ. პირველი გრძელვადიანი დოკუმენტია, რომელსაც დაეფუძნება სამსახურში შემავალი სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამსახურის ადამიანური კაპიტალის ეფექტიან ჩართვას სამსახურის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულად განხორციელების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა ადამიანური რესურსების კაპიტალის მართვისა და განვითარებისთვის აუცილებელი მიმართულებები, რომელსაც დაეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი და საქმიანობის შემდგომი პრიორიტეტები და ამოცანები.

12 სხვა აქტივობები

სტატისტიკური მიზნებისთვის, სამსახურმა მზღვეველებისგან გამოითხოვა ინფორმაცია მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელთა მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სახეობაში; აგრეთვე, „მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29/03/2019 წლის N177 დადგენილების შესაბამისად, შემოსავლების სამსახურს მიეწოდა სავალდებულო დაზღვევის ამ პროდუქტში მონაწილე მზღვეველების მიერ განხორციელებული დაზღვევის შესახებ ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის თანამშრომლები, ასევე, მონაწილეობდნენ შემდეგ ღონისძიებებში:

- ✓ სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში“;
- ✓ სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული, ევროკავშირის დაძმობილების (Twinning) პროექტთან თანამშრომლობით, გამართული ტრენინგები კონკურენციის სამართალში;
- ✓ კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ საერთაშორისო კონფერენცია;
- ✓ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების მომზადება“ (09-11/06/2023წ);
- ✓ ევროპის საბჭოს ინიციატივით გამართული სამუშაო შეხვედრა - „თანასწორობის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა კერძო სექტორში“, ასევე, მათ მიერ ორგანიზებული თანასწორობის კვირეულის ფარგლებში გამართული ღონისძიება;
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვის მიზნით, გამართული სამუშაო შეხვედრა;
- ✓ უწყებათაშორისი ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სამუშაო გუნდის შეხვედრები;
- ✓ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა;
- ✓ საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით;
- ✓ საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრა „აღსრულების კოდექსის“ კანონპროექტთან დაკავშირებით;
- ✓ ორგანიზაცია Neutrin-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა“, 20/11/2023წ.